



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 252/ს
06/06/2023

252-21-4-202306061218



ქ. რუსთავში შპს „არესემ კორპის“ ფეროშენადნობების (სილიკომანგანუმი) წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „არესემ კორპის“ მიერ გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, ფეროშენადნობების (სილიკომანგანუმი) წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (აირმტვერდამჭერი სისტემის ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 13 ივნისს ქ. რუსთავში შპს „ბულატის“ ფეროშენადნობების წარმოებაზე (სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-527). 2020 წლის 31 მარტს აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „არესემ კორპს“ (ბრძანება №2-301).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფეროშენადნობების (სილიკომანგანუმი) საწარმოში განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და მოეწყო ახალი აირმტვერდამჭერი სისტემა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „არესემ კორპის“ სილიკომანგანუმის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, გაგარინის №12-ში, შპს „ბულატის“ საკუთრებაში არსებულ, ჯამურად 3 258 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.02.950; 02.07.04.017; 02.07.04.015), რომლებსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1,3 კმ-ით. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან 150 მეტრში მდებარეობს შპს „გრაალი 2008“-ის გაჯის საამქრო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, ხოლო 350 მეტრში განთავსებულია შპს „მნ გრუპი-2021“-ის მეტალურგიული საწარმო.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ფეროშენადნობების საწარმოში მოწყობილია გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ერთი (0,5 ტ/სთ) სადნობი ლუმელი, რომელიც წარმოადგენს ფურცლოვანი რკინისაგან შეკრულ, მრგვალ, ქვაბისებრ კონსტრუქციას. ლუმელი აგებულია 60% მაღალალუმინიანი ცეცხლგამძლე აგურისა (შამოტი) და სპეციალური პასტის ამონაგებისაგან. ლუმელის დიამეტრი შეადგენს 4 მეტრს, ხოლო სიღრმე - 0,9 მეტრს და აღჭურვილია ერთი გაფრქვევის მილით. ობიექტზე წლიურად იწარმოება 4 380 ტონა სილიკომანგანუმი. საწარმო წელიწადში მუშაობს 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, სილიკომანგანუმის მიღების ტექნოლოგიურ პროცესში, ნედლეულის დნობის შედეგად ლუმელიდან გაფრქვეული მტვრის გაწმენდას ემსახურება სველი ტიპის, ასპირაციული მტვერდამჭერი სისტემა - ე.წ „სკრუბერი“, სადაც გაფრქვეული ნივთიერებები გადის გაწმენდის ორ საფეხურს. პირველ საფეხურზე, მყარი ნაწილაკებით დაბინძურებული ჰაერი (აირმტვერნარევი) გაივლის ჯგუფურ ციკლონს (ეფექტურობა 80%), ხოლო მეორე საფეხურზე - ე.წ „სკრუბერს“ (ეფექტურობა 90%-მდე).

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სილიკომანგანუმის საწარმოში განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და არსებული სველი ტიპის მტვერდამჭერი სისტემა ჩანაცვლდა თანამედროვე სტანდარტების მქონე, ე.წ მშრალი, „სახელოიანი“ ფილტრებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოწყობილი აირმტვერდამჭერი სისტემა შედგება შემდეგი დანადგარებისგან: ჰაერსატარი მილები, „სახელოიანი“ ფილტრებით აღჭურვილი მტვრის შემკრები კოლექტორი, ბუნკერი და მბრუნავი სარქველი. ექსპლუატაციაში დარჩა გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული აირმტვერდამჭერი სისტემის ციკლონი (გაწმენდის პირველი საფეხური), სადნობი ლუმელის გაფრქვევის მილი და გამწოვი ვენტილატორი. ახალი აირმტვერდამჭერი სისტემის შემადგენელი დანადგარები მოეწყო გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ძველი აირმტვერდამჭერი სისტემის ადგილზე (დაახლოებით 20 მ²), რომელიც დაფარულია ბეტონის საფარით და უზრუნველყოფილია საჭირო ელექტროკომუნიკაციებით, ასევე, წყალამრიდი არხებითა და სანიაღვრე ბეტონის ორმოთი. ახალი აირმტვერდამჭერი სისტემის განთავსების GPS კოორდინატებია: X-502896, Y-4598210; X-502894, Y-4598213; X-502898, Y-4598216; X-502900, Y-4598213. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, საწარმოში დაინერგა უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემა („Forbes Marshall Codel“-ის წარმოების „DCEM 2100“ მოდელის მტვრის საზომი).

სკრინინგის განცხადების თანახმად, სადნობი ლუმელიდან აირმტვერნარევი მტვერდამჭერ ციკლონში (3 მ³) გაიწოვება 900 მმ დიამეტრის ჰაერსატარი მილით, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სეპარატორს, სადაც ხდება მტვრის საშუალო და მსხვილი ნაწილაკების გრავიტაციული დაჭერა. ციკლონიდან გასული ჰაერის ნაკადი, ჰაერსატარი მილის საშუალებით, გადადის „სახელოიანი“ ფილტრებით აღჭურვილ მტვრის შემკრებ კოლექტორში, სადაც მოხვედრილი ჰაერის გაწმენდა უზრუნველყოფილია ორი გამფილტრავი სექციით. მტვრის შემკრებ კოლექტორში ვერტიკალურად განთავსებულია პოლიესტერის მასალის, 140 მმ დიამეტრის და 3 600 მმ სიგრძის მქონე 300 ერთეული

ფილტრი. ფილტრებზე დაგროვებული მტვრის ნაწილაკების მოშორებას უზრუნველყოფს ავტომატიზებული სისტემა, რომელიც დროის გარკვეულ ინტერვალში აწვდის შეკუმშული ჰაერის იმპულსს ფილტრების თითოეულ სექციას. მტვრის მასა გროვდება კოლექტორის ბუნკერში, საიდანაც, მბრუნავი სარქველით, იყრება ჰაერსატარ მილში. მილზე, დაჭერილი მტვრის შესაგროვებლად, ჰერმეტიულად მაგრდება ე.წ. „ბიგ-ბეგები“, საიდანაც შეკრებილი მტვერი, სპეცტექნიკის საშუალებით, ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომელიც მოიცავდა მცირე სამონტაჟო სამუშაოებს, უკვე განხორციელებულია. რაც შეეხება საწარმოს ფუნქციონირების ეტაპს, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ობიექტზე არსებული სველი ტიპის, ასპირაციული მტვერდამჭერი სისტემა (ეფექტურობა 80-90%) ჩანაცვლდა თანამედროვე სტანდარტების ე.წ მშრალი, „სახელოიანი“ ფილტრებით (ეფექტურობა დაახლოებით 99%) და შესაბამისად, გაიზარდა მტვრის დაჭერის ეფექტურობა, სილიკომანგანუმის საწარმოს ფუნქციონირებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება შემცირდა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განთავსებული ახალი აირმტვერდამჭერი სისტემის ფუნქციონირება, არ არის დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან. წარმოდგენილი გაანგარიშების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოწყობილი აირმტვერდამჭერი სისტემის ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ხმაურის დონე, საწარმოს სხვა დანადგარების გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (1,3 კმ) შეადგენს 20,9 დბა-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სილიკომანგანუმის საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის გაზრდასთან. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ახალი აირმტვერდამჭერი სისტემის უბანზე წარმოქმნილი მტვერი იყრება ე.წ. „ბიგ-ბეგებში“, სპეცტექნიკის საშუალებით გადაიზიდება ფეროშენადნობების საამქროში და შემდგომ, სხვა ნედლეულთან ერთად, სრულად ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში - ფეროშენადნობთა სადნობ ღუმელში გადასადნობად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სველი ტიპის აირმტვერდამჭერ და ფეროშენადნობთა სადნობი ღუმელის გაგრილების ბრუნვით სისტემებში გამოიყენებოდა აირმტვერდამჭერი სისტემის ტერიტორიაზე არსებულ სანიაღვრე ბეტონის ორმოში შეკრებილი წყალი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების განხორციელების შემდგომ, სანიაღვრე ბეტონის ორმოში შეგროვებული წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ საწარმოს სადნობი ღუმელის გაგრილების (შხეფმაცივრის) ბრუნვით სისტემაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 350 მეტრში განთავსებულია შპს „მნ გრუპი-2021“-ის მეტალურგიული საწარმო. სკრინინგის განცხადებაში განხილულია აღნიშნული ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, კერძოდ, სველი ტიპის მტვერდამჭერი სისტემის (ეფექტურობა 80-90%) ჩანაცვლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ე.წ. მშრალი, „სახელოიანი“ ფილტრებით (ეფექტურობა დაახლოებით 99%) უზრუნველყოფს, გაფრქვეული მტვრის დაჭერის ეფექტურობის გაზრდასა და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება შემცირდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ამასთან, ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სილიკომანგანუმის საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი ზემოქმედება მცირდება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:


1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში შპს „არესემ კორპის“ ფეროშენადნობების (სილიკომანგანუმი) წარმოების ექსპლუატაციის

პირობების ცვლილება (აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობა) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „არესემ კორპი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 13 ივნისის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-527) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „არესემ კორპი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „არესემ კორპი“ ვალდებულია, უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროზე ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
5. შპს „არესემ კორპი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროზე ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგები (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით). მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 13 ივნისის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-527) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არესემ კორპს“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არესემ კორპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.



ნინო თანდილაშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'ნ. თანდილაშვილი', written over the printed name.

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო